

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი 204382435
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

☑ ორგანიზაცია

☐ ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაზე
ზოგადი ნაწილი:

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი, როგორც სამეწარმეო სუბიექტი და კერძო სამართლის იურიდიული პირი, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 1996 წლის 8 მაისიდან და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 204382435

ძირითადი საქმიანობა:

კოპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტოსადგურის მომსახურება, სამგზავრო დარბაზისა და ჩასასხდომი/ საპარკინგე ტერიტორიით. მომსახურება ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო სამგზავრო რეისებისათვის ბილეთების რეალიზაციას, ბილეთების დამოუკიდებელი რეალიზატორებისათვის სალაროს ფუნქციონირებისათვის ფართის მიქირავებას, ფართების გაქირავებას აღნიშნულ ინფრასტრუქტურაში ჩართული პირებისათვის, საცალო ვაჭრობით და კვების პროდუქტებით.

სააღრიცხვო პრინციპები და მეთოდები:

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი, აწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის ძირითად (ორმხრიობის, ფულადი შეფასების, საწარმოს ავტონომიურის, უწყვეტობის, თვითღირებულების, კონსერვატიზმის, მატერიალურობის, რეალიზაციის, შესაბამისობის) პრინციპებს. სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს სტანდარტებით დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. კომპანია განეკუთვნება მე-3 ზომით კატეორიას. უფლებამოსილია და იყენებს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც ვალდებულია შეადგინოს ფინანსური ანგარიშგება (ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დაურთოს განმარტებითი შენიშვნები და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.

ფინანსური ანგარიშგება გამიზნულია მომხმარებელთა ფართო წრისთვის.

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს კომპიუტერული პროგრამა „ორისი“-ის გამოყენებით.

მოქმედი სააღრიცხვო პოლიტიკიდან და საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდის ცალკეული დეტალი (წესები, ხერხები, ფორმები, პრაქტიკა) საჭიროებს განმარტებას. კერძოდ:

1. ხელფასის გაცემა ხდება ელექტრონულად.
2. ნაღდი ფულით ანგარიშსწორება წარმოებს სალაროს მეშვეობით;
3. ყოველწლიურად, წლის დასაწყისში, დირექტორის ბრძანებით ინიშნებიან ანგარიშვალდებული პირები, რომელთაც ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა;
4. საწარმო აწარმოებს საანგარიშგებო ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტაში, ოპერაციის შესრულების დღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის

არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით. ოპერაციის თარიღად მიიჩნევა თარიღი, როდესაც ეს ოპერაცია პირველად კლასიფიცირდება აღიარებისათვის, რაც ნიშნავს, რომ აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი გადაეცემა სუბიექტს.

5. მოთხოვნები და ვალდებულებები აღირიცხება ცალკეული ობიექტების მიხედვით და იმ თანხით, რომლის გადახდაც უწევს საწარმოს. ამავე ღირებულებით (ანუ პირვანდელი ღირებულებით) ასახულია ის ანაგრიშგებაში;

6. შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივად აღიარდება შეძენის ფაქტური თვითღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან დაკავშირებულ დანახარჯებს;

7. აქტივები შეფასებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით, რაც მოიცავს მის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, დადგმასთან, ექსპლუატაციაში შეყვანასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. აქტივების მოძრაობა, დღიდან მიღებისა, აისახება აქტივების მოძრაობის უწყისებში;

8. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება დარიცხვის წრფივი მეთოდით. ანაგრიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია ნარჩენი ღირებულებებით;

9. მიმწოდებლებთან საქონლის მიღება და საანგარიშსწორებო ურთიერთობა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისი ინფორმაცია (რიგითი N, ხელშეკრ. N, მიმწოდებლის დასახელება, ვადები, შესყიდვის კოდები, თანხები) აისახება რეესტრში;

10. სახარჯი მასალა, საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის შეძენა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, შესყიდული საქონელი მიღება-ჩაბარების აქტით ბარდება ბრძანებით დანიშნულ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც მიყავს გაცემის აღრიცხვა და წარმოადგენს ყოველთვიურ ანგარიშს;

11. ყოველი წლის ბოლოს, ანაგრიშგების შედგენამდე, ტარდება საბალანსო მუხლების ინვენტარიზაცია დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ინვენტარიზაციის შედეგები რეგულირდება დადგენილი წესების თანახმად;

საგადასახადო ვალდებულებები

12. საგადასახადო ვალდებულებების ნაწილში სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი მთლიანად ექვემდებარება საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამასთან, აღრიცხვისა და ანაგრიშგების მიზნებისთვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც მოქმედებაშია შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

12.1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად დღგ-ს ჩათვლა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, თუ კი საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც საჭიროა სარეალიზაციო საქონლის შექმნისათვის, ჩამოყალიბებისა და სარეალიზაციოდ მომზადებისთვის, გამოიყენება ან გამოყენებული იქნება დასაბეგრ ოპერაციებში. ხოლო იმ შემთხვევაში კი, საქონელი ან/და მომსახურება, რომელიც სარეალიზაციო საქონელს საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს შეუძლებელია გაიმიჯნოს გამოიყენებოდა თუ არა დასაბეგრ ოპერაციებში, ვსარგებლობთ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის 174-ე მუხლის მეექვსე ნაწილით. კერძოდ, თუ საქონელი ან მომსახურება ერთდროულად გამოიყენება ჩათვლის უფლების მქონე და ჩათვლის უფლების გარეშე ოპერაციებში და მათი გამიჯვნა შეუძლებელია მაშინ:

12.1.1. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა გაიანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში საერთო ბრუნვის თანხაში ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით;

12.1.2. ამ ნაწილის 12.1.1 ქვეპუნქტის გათვალისწინებით დღგ-ის ჩასათვლელი თანხის დაზუსტება ხდება მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დეკლარაციაში წლის განმავლობაში საერთო ბრუნვის ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციების თანხის ხვედრითი წონის მიხედვით.

ს.ს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი-ს
გენ. დირექტორი თ. ჯამრიშვილი



ფინანსური ანგარიშგებები
სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი 204382435
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
ყველა თანხა მოცემულია ლარში

აქტივი	შენიშვნები	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	ა1	156,705	5,958
მოკლევადიანი მოთხოვნები	ა2	610,850	520,325
სასაქონლო მატერიალური მარაგი	ა3	18,881	23,465
წინასწარ გადახდილი ფულადი სახსრები	ა4	-	81,945
საგადასახადო აქტივი	6ა 6ა1	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		786,436	631,693
ძირითადი საშუალებები	ა5	1,744,965	1,799,546
არამატერიალური აქტივები	ა6	89	370
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	ა7	42,056	42,056
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,787,110	1,841,972
სულ აქტივები		2,573,545	2,473,665
პასივი			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	ა8	121,852	61,445.35
საგადასახადო ვალდებულება	6ა 6ა1	865	61,687.82
სხვა ვალდებულებები	ა9	32,291	68,276.06
სულ მიმდინარე ვალდებულებები		155,009	191,409
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	ა10	492,260	492,260
გაუნაწილებელი მოგება	ა10	422,959	422,959
მოგება/ზარალი	ა10	136,281	-
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	ა10	14,247	14,247
სხვა რეზერვები და დაფინანსება	ა10	1,352,790	1,352,790
სულ კაპიტალი		2,418,537	2,282,256
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,573,545	2,473,665

სს თბილისის ცენტრალური
ავტოვაგზალის დირექტორი:

მ. ჯამრიშვილი

თეიმურაზ
ჯამრიშვილი



სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი 204382435

მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2021 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

2020 წ			2021 წ		
დასახელება	ხარჯი	შემოსავალი	დასახელება	ხარჯი	შემოსავალი
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	547.00	დღ-თი დასაბეგრი ბრუნა	-	1,041,597
0-ოვანი დღ-თი დასაბეგრი ბრუნვა	-	343,040.00	0-ოვანი დღ-თი დასაბეგრი ბრუნვა	-	330,099
დღ-სგან განთავისუფლებული ბრუნვა	-	6,597.00	დღ-სგან განთავისუფლებული ბრუნვა	-	7,152
დღ-თი დასაბეგრი ბრუნვა	-	950,146.00	სრული შემოსავალი მომსახურებიდან	-	-
საპროცენტო შემოსავლები	-	2,723.00	პირდაპირი ხელფასი	(177,867)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	17,249.00	ქირა	(18,270)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	22,400.00	ელექტროენერგიის ხარჯი	(283,969)	-
შემოსავალი სასაქონლო-მატერიალური მარაგის სახით	-	575.00	წყალი	(62,786)	-
საქონელი	(52.00)	-	დასუფთავება (ნარჩენების გატანა) - ფართის იჯარა	(600)	-
დასუფთავება (ნარჩენების გატანა)-ფართის იჯარა	(8,747.00)	-	დაცვის ხარჯი	(1,651)	-
დაცვის ხარჯი	(2,928.00)	-	სამეურნეო ხარჯები და დამხმარე მასალები	(1,092)	-
ელექტროენერგიის ხარჯი	(134,358.00)	-	მიღებული მომსახურება	(7,224)	-
მიღებული მომსახურება	(13,233.00)	-	გაყიდული/შეძენილი საქონელი	(111,555)	-
ნებართვები და სერტიფიკატები	(1,703.00)	-	შრომის ანაზღაურება	(383,994)	-
პირდაპირი ხელფასი	(213,663.00)	-	საპენსიო ფონდი	(2,086)	-
სამეურნეო ხარჯები და დამხმარე მასალები	(1,511.00)	-	საკანცელარიო საქონლის ხარჯი	(6,122)	-
ქირა	(22,975.00)	-	მიდინარე სამეურნეო ხარჯი	(21,541)	-
წყალი	(49,005.00)	-	მიმდინარე სამეურნეო ხარჯი სასტუმროში	(2,845)	-
გაყიდული/შეძენილი საქონელი	(251,962.00)	-	კომუნიკაციის ხარჯები	(16,493)	-

ა/მ მიმდინარე რეონტის და საწვავის ხარჯი	(5,753.00)	-	სალარო აპარატების მომსახურება	(2,639)	-
ბანკის მომსახურების საკომისიო	(2,155.00)	-	ბანკის მომსახურების საკომისიო	(2,822)	-
კომპიუტერის ხარჯები	(396.00)	-	მივლინების ხარჯები	(4,141)	-
კომუნიკაციის ხარჯები	(18,018.00)	-	ა/მ მიმდინარე რეონტის და საწვავის ხარჯი	(20,974)	-
მიმდინარე სამეურნეო ხარჯი	(12,091.00)	-	კომპიუტერის ხარჯები	(285)	-
მივლინების ხარჯები	(1,670.00)	-	საკონსულტაციო ხარჯები	(5,053)	-
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება	(807.00)	-	პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურება	(807)	-
საკანცელარიო საქონლის ხარჯი	(1,104.00)	-	ცვეთა და ამორტიზაცია	(66,151)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(1,532.00)	-	სხვა საგადასახადო ხარჯი	(26,737)	-
სალარო აპარატების მომსახურება	(2,186.00)	-	სხვა საერთო ხარჯი	(2,610)	-
საპენსიო ფონდი	(2,153.00)	-	ჯავშანის საკომისიო	(1,267)	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	(27,345.00)	-	ჯიხურის შეკეთება	(500)	-
სხვა საერთო ხარჯი	(2,384.00)	-	სამრეცხაოს ხარჯი	(2,945)	-
ტერიტორიის მიმდინარე შეკეთება	(2,476.00)	-	საპროცენტო შემოსავლები	-	2,791
შრომის ანაზღაურება	(303,265.00)	-	ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(72,604.00)	-	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	-	9,548
ჯიხურის შეკეთება	(816.00)	-	საპროცენტო ხარჯები	(2,356)	-
ბაჟი	(100.00)	-	საქველმოქმედო ხარჯი	(1,143)	-
საპროცენტო ხარჯები	(6,602.00)	-	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(4,324)	-
საქველმოქმედო ხარჯი	(2,016.00)	-	წარმომადგენლობითი ნორმის ფარგლებში	(1,114)	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(3,973.00)	-	საგადასახადო საურავები	(9,041)	-
საკურსო სხვაობა	(576.00)	-	საკურსო სხვაობა	(470)	-
გამოუქვითავი სხვადასხვა ხარჯი	(5,119.00)	-	მოგების გადასახადი გაცემულ სესხზე	(529)	-
მოგების გადასახადი სხვადასხვა	(1,201.00)	-	გამოუქვითავი სხვადასხვა ხარჯი	(900)	-

სულ	(1,176,479)	1,343,277	სულ	(1,254,905)	1,391,186
მოგება დაბეგვრამდე		166,798	მოგება დაბეგვრამდე		136,281
მოგების გადასახადი	-		მოგების გადასახადი	-	
წმინდა მოგება		166,798	წმინდა მოგება		136,281

სს თბილისის ცენტრალური
ავტოვაგზის დირექტორი:

მ. ჯაშყაძე

თეიმურაზ
ჯამრიშვილი

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი 204382435
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

	2021 წელი	2020 წელი
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1,510,088	1,144,742
მომწოდებელზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	(1,324,172)	(1,119,963)
	185,916	24,779
სასესხო საქმიანობა		
მიღებული სესხები		
გადახდილი სესხები	(30,170)	(44,830)
	(30,170)	(44,830)
საინვესტიციო საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(5,000)	(12,246)
	(5,000.00)	(12,246)
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	150,746	(32,297)

სს თბილისის ცენტრალური
ავტოვაგზალის დირექტორი:

მ. ჯ. შიშკივი

თეიმურაზ
ჯამრიშვილი

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი 204382435
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

დასახელება	საწყ. დებიტი 01.01.2020	საწყ. კრედიტი 01.01.2020	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	ნაშთი დებიტი 31.12.2020	ნაშთი კრედიტი 31.12.2020
ჩვეულებრივი აქციები		492,260				492,260
გაუნაწილებელი მოგება		268,405	12,246	166,800		422,959
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		14,247				14,247
სხვა რეზერვები და დაფინანსება		1,352,790				1,352,790
სულ		2,127,702				2,282,256

დასახელება	საწყ. დებიტი 01.01.2021	საწყ. კრედიტი 01.01.2021	ბრუნვა დებიტი	ბრუნვა კრედიტი	ნაშთი დებიტი 31.12.2021	ნაშთი კრედიტი 31.12.2021
ჩვეულებრივი აქციები		492,260	-	-		492,260
გაუნაწილებელი მოგება		422,959	-	136,281		559,240
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		-	1,391,186	1,391,186		-
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		14,247	-	-		14,247
სხვა რეზერვები და დაფინანსება		1,352,790	-	-		1,352,790
სულ		2,282,256				2,418,537

სს თბილისის ცენტრალური
ავტოვაგზალის დირექტორი:

თ. ჩ. მ. შიშკიძე

თეიმურაზ
ჯამრიშვილი

სს თბილისის ცენტრალური ავტოვაგზალი 204382435

განმარტებითი შენიშვნები

ფული და ფულის ექვივალენტები ა1

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,638	3,473
სალარო აპარატები	-	-
სავალუტო ჯიხური	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,320	146,853
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	6,378
სულ	5958.36	156,705

მოკლევადიანი მოთხოვნები ა2

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	344,633	418,888
რეალიზაციის თანხის ანგარიშვალდებულები	1,683	1,950
საექვო მოთხოვნების კორექტირება	66,576	66,576
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(144)	28,168
მოწოდებლებზე გადახდილი ავანსები	5,471	2,471
მიღებული მოკლევადიანი თამასუქები	89,497	78,797
მისაღები პროცენტები	12,609	13,999
სულ	520,325	610,850

სასაქონლო მატერიალური მარაგი ა3

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
საქონელი	12,150	7,424
საკანცელარიო საქონელი	66	75
საგზურები და საადრიცხო ფურცლები	1,371	1,473
ოფისის მოვლის საშუალებები	133	263
სამეურნეო საქონელი	619	563
მცირეფასიანი საქონელი	1,482	1,482

ნედლეული და მასალები	3,824	3,782
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3,819	3,819
სულ	23,465	18,881

ძირითადი საშუალებები ა5

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
მიწის ნაკვეთები	140,378	154,621
ავტოვაგზლის ტერიტორიის კეთილმოწყობა	99,120	99,120
დაუმთავრებელი მშენებლობა	373,721	370,300
შენობები	1,219,199	1,219,199
ნაგებობები	73,518	73,518
ტერიტორიის კეთილმოწყობა	71,520	71,520
კომპიუტერები	15,862	15,862
ელექტრონული მოწყობილობები	111,673	112,139
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	16,529	16,529
თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები და გენერატორები	55,094	55,094
ავეჯი ოფისისათვის	52,155	52,155
სხვა ინვენტარი	41,139	41,139
სასტუმროს ინვენტარი	65,618	65,618
მსუბუქი ავტომობილები	19,677	19,677
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15,831	15,831
ავტოვაგზლის ტერიტორიის კეთილმოწყობის ცვეთა	(19,428)	(22,248)
შენობის ცვეთა	(212,689)	(243,052)
ნაგებობების ცვეთა	(13,435)	(17,387)
ტერიტორიის კეთილმოწყობის ამორტიზაცია	(20,459)	(22,006)
კომპიუტერების ცვეთა	(14,430)	(15,035)
ელექტრონული მოწყობილობები	(96,712)	(101,100)
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	(15,173)	(15,596)

ტურბინული მოწყ. და გენერატორების ცვეთა	(21,451)	(29,447)
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	(43,221)	(45,770)
სხვა ინვენტარი	(31,786)	(35,821)
სასტუმროს ინვენტარი	(53,260)	(57,283)
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	(19,677)	(19,677)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ. ცვეთა	(9,768)	(12,936)
სულ	1,799,546	1,744,965

აქტივების წარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებისაგან გამოვლენილი არ არის.

არამატერიალური აქტივები ან

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
პროგრამული უზრუნველყოფა	3,512	3,512
პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაცია	(3,142)	(3,423)
სულ	370	89

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში ა7

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	42,056	42,056
სულ	42,056	42,056

მოკლევადიანი ვალდებულებები ა8

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	(39,625)	(84,007)
მიღებული ავანსები	(8)	(1,844)
გადასახდელი ხელფასები	(9,573)	(32,343)
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(12,240)	(3,659)
სულ	(61,445)	(121,852)

საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება 6ა 6ა1

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
გადასახდელი მოგების გადასახადი	8,910	(529)
საპენსიო ფონდი	489	(663)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	(33,502)	8,988
გადასახდელი დღგ	(8,169)	1,679
დღგ-ს დეკლარაცია	(2,549)	(10,722)
გადახდილი დღგ	(1,508)	101
გადახდილი დღგ	349	362
ქონების გადასახადი	(25,260)	609
მიწის გადასახადი	243	-
საგზაო ფონდის გადასახადი	160	160
სხვა საგადასახადო ვალდებულებები	-	-
სხვა გადასახდელი ჯარიმები	(850)	(850)
სულ	(61,688)	(865)

სხვა ვალდებულებები ა9

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
გადასახდელი პროცენტები	(815)	0
გადასახდელი დივიდენდები	(37,291)	(32,291)
სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სესხები	(30,170)	-
სულ	(68,276)	(32,291)

კაპიტალი ა10

დასახელება	01.01.2021	31.12.2021
ჩვეულებრივი აქციები	(492,260)	(492,260)
გაუნაწილებელი მოგება	(422,959)	(422,959)

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-	(136,281)
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	(14,247)	(14,247)
სხვა რეზერვები და დაფინანსება	(1,352,790)	(1,352,790)
სულ	(2,282,256)	(2,418,537)

სს თბილისის ცენტრალური
ავტოვაზლის დირექტორი:

თ. ჯაფარიძე

თეიმურაზ
ჯამრიშვილი